პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 ხუთშაბათი 9 იანვარი № 7 (16133) ფასი 2 კაპ. 1975

ახალი 1975 წელი — ეს არის წელი, როცა ფენდა დავამთავროთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მეცხრე ხუთწლედის ამოცანები. ამით შეიქმნება მტკიცე საფუძველი მომდევნო, მეათე ხუთწლედში წარმატებითი მუშაობისათვის, პარტიის ეკონომიკურ-სტრატეგიულურ-ეკონომიკური კოლიტიკის რეალიზაციისათვის. საბჭოთა ბადამიანები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მიღწეულ იქნეს [illegible]

1975 წელი — ეს არის წელი, როცა აღვნიშნავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს, რომელშიც საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა მასობრივი გმირობა და მამაცობა, დაიცვა სოციალისტური სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნა მსოფლიოს ხალხები ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. თვითეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული მოვალეობაა ღირსეულად შეხვდეს დიადი გამარჯვების იუბილეს, აღნიშნოს იგი ახალი მიღწევებით შრომითს ფრონტზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავის შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1975 წლის იანვარში 70 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დაიწყო რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია, რომელშიც პროლეტარიატმა, გლეხთა მასების ფართო ფენებმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით იარაღით ხელში გაილაშქრეს წარმოებულ ბელობის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

ეს იყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ხახალხო რევოლუცია. მან ცხადყო, რომ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი, პოლიტიკური ძალებისა და რევოლუციური ბრძოლების პერიოდი. თუმცა 1905-1907 წლების რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მძლავრი ჩასცა თვითმპყრობელობას, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას, ნათელი ფურცელი ჩაწერა კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში. „1905 წლის „გენერალური რეპეტიცია" რომ არა, — ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა".

1905-1907 წლების რევოლუცია მომზადებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების თეული მსვლელობით. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში სწრაფი ტემპით იზრდებოდა კაპიტალიზმი, ყალიბდებოდა და ირაზმებოდა მუშათა კლასი, მტკიცდებოდა მისი კლასობრივი თვითშეგნება. ამასთანავე რუსეთი კვლავაც რჩებოდა ქვეყნად, სადაც ძლიერი იყო ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთები. მეფის თვითმპყრობელობა, რომელიც გამოხატავდა მემამულეთა ინტერესებს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსხვილ მონოპოლისტურ კაპიტალთან, ბოკავდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, აფერხებდა ხაზოგადებრივ პროგრესს. აუტანელი იყო მუშათა და გლეხთა ცხოვრების პირობები.

XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთი იმპერიალიზმის თეული სისტემის წინაღმდეგობათა საკვანძო პუნქტი, მისი ყველაზე სუსტი რგოლი გახდა. აქ გადმოინაცვლა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა. 1900-1903 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა მეფის რუსეთი, ავრეთვე რუსეთ-იაპონიის ომმა გამოაჩინეს ცარიზმის სიღამპლე, უკიდურესად გაამწვავეს გაბატონებული კლასებისა და მშრომელთა ფართო მასების წინააღმდეგობანი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რევოლუციური კრიზისის სწრაფ ზრდას.

1905-1907 წლების რევოლუცია ისტორიაში პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაა, რომელშიც პროლეტარიატი გამოვიდა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი ჩაგრული მასების ბელადი. მის ხელმძღვანელ როლს განასახიერებდა ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. იგი იყო ერთადერთი პარტია, რომელსაც ჰქონდა მოქმედების მკაფიოდ, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ლენინურმა პარტიამ მაღლა ასწია რევოლუციური დროშა, გადაკრით იცავდა მარქსიზმს რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შემოქმედებითად ავითარებდა მარქსისტულ მოძღვრებას, რევოლუციის მსვლელობაში მას უკავშრებდა მასობრივ პროლეტარულ და დემოკრატიულ მოძრაობას.

რევოლუციის წლებში მკაფიოდ გამოვლინდა ვ. ი. ლენინის, როგორც მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსისა და მშრომელთა ბელადის როლი. ლენინმა დაასაბუთა ხახალხო რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა, გვიჩვენა, რომ რაც უფრო ფართო და ღრმავ მასების რევოლუციური მოძრაობა, მით უფრო იზრდება პროლეტარული პარტიის როლი და მნიშვნელობა, მისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული სამეობა. რევოლუციის აღმავლობის დროს, 1905 წლის გაზაფხულზე, პარტიის III ყრილობამ ლენინის იდეების საფუძველზე შეიმუშავა მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ბოლშევიკური სტრატეგია და ტაქტიკა.

მარქსიზმის საგანძურში უდიდესი წვლილი იყო სოციალისტურ რევოლუციად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდის ლენინური თეორია. ახალი ისტორიული ეპოქის, კლასობრივი ძალების განაწილების მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებულმა თეორიამ დასახა რევოლუციური პრაქტიკის ერთადერთი სწორი გზა. ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ლენინური პარტიის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის სისწორე და ცხადყო ტროცკისტთა, მენშევიკთა და სხვა ვერილბურჟუაზიულ პარტიათა ოპორტუნისტული ტაქტიკის უსუსურობა, გაკოტრება.

მუშათა კლასი უდიდესი შეუპოვრობით ეწეოდა მტკიცე ბრძოლას ბოლშევიკური პროგრამა-მინიმუმის სრული განხორციელებისათვის — დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებისათვის, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებისათვის, მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის.

მუშათა კლასმა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა უდრეკი სიმტკიცე, ჰეროიზმი და გაიღო მზვერჯალი თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისა და პროგრესისათვის. მისი მამაცობისა და გმირობის უჭკნობი მაგალითია სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვა, კლასობრივი ბრძოლები პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში, რუსეთის ცენტრსა და განაპირა მხარეებში. რევოლუციის მწვერვალი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, იყო მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. მუშათა კლასმა თავის მხრებზე გადაიტანა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ბრძოლის ძირითადი სიმძიმე. თავისი მტკიცე მოქმედებით, უსაზღვრო გმირობითა და თავდადებით რუსეთის პროლეტარიატმა დარაზმა მშრომელთა ფართო მასები თვითმპყრობელობის, მემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რევოლუციის დროს პროლეტარიატის მასობრივი გაფიცვებისა და შეიარაღებული ბრძოლების შემოქმედებით გაიშალა გლეხთა ფართო მოძრაობა. პირველად ისტორიაში იქმნებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. რუს პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ იბრძოდნენ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის, შუა აზიისა და რუსეთის სხვა ეროვნული რაიონების მუშები და გლეხები. ხელმძღვანელობდა რა რევოლუციურ ბრძოლას, პარტია ეურნდნობოდა ლენინის იმ მითითებას, რომ მეფის მონარქიის დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც მიუძღვის ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შრომელთა მასებს. გაძლიერდა რევოლუციური განწყობილებანი არმიასა და ფლოტში, რომლებიც თვითმპყრობელობის ბურჯს წარმოადგენდნენ. მთელმა მსოფლიომ შეიტყო ჯავშნოსან „პოტიომკინის" მატროსთა თვალსაჩინო გმირობის ამბავი, რომლებიც რევოლუციის მხარეზე გადავიდნენ.

რევოლუციის დროს, მუშათა კლასის, ხალხის მასების შემოქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიაში უმაგალითო პოლიტიკური ორგანიზაციები — მუშათა დეპუტატების საბჭოები, მათ შემდეგ კი გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. ისინი შეიქმნა საგაფიცვო ბრძოლისა და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობისთვის ივანოვო-ვოზნესენსკში, პეტერბურგში, მოსკოვში, როსტოვში, სარატოვში, ბაქოში, კიევში, ეკატერინოსლავში, სევასტოპოლში კოსტრომში, ჩიტაში, კრასნოიარსკში, ირკუტსკში, სმოლენსკში, ბევრ სხვა ქალაქსა და დაბაში. ლენინის განსაზღვრით, საბჭოები იყო რევოლუციური ხელისუფლების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოები. ლენინის გეგმაში მათში განვსრიტა საბჭოთა ხელისუფლების პირველსახე. პროლეტარიატის დიქტატურის ახალმწიფოებრივი ფორმა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სსრ კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ მთლიანად და სავსებით დაადასტურეს — ჭეშმარიტად ხახალხო ხელისუფლების ყველაზე მასობრივი ორგანოების, ნამდვილი დემოკრატიის გამოხატულების — საბჭოების შესახებ ლენინური მოძღვრების ცხოვრებისეული ძალა.

რუსეთის პირველ რევოლუციას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ზრდაზე, გამოიწვია კოლონიური აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. ყოველივე ამან შეარყია კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა, მოაახლოვა მისი საერთო კრიზისი.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ რევოლუციის გმირთა სახელოვან საქმეებს. რუსეთის პირველი ხახალხო რევოლუციის ისტორია რევოლუციონერ მებრძოლთა ახალი თაობების შემოქმედებითი პოლიტიკური ბრძოლის სკოლაა. ჩვენს დღეებში, როცა საერთაშორისო მუშათა კლასი სულ უფრო ხელმძღვანელ როლს ასრულებს ფართო და მძლავრ საერთო დემოკრატიულ-ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში, რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიული გამოცდილება, მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ ლენინური იდეები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენენ.

ბოლშევიკების მიერ მასების პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეძენილი გამოცდილების ღრმა განზოგადებამ და ოსტატურად გამოყენებამ, ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ერთიანობისა და განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი ჰეგემონიისათვის, მშრომელთა ფართო მასებთან პროლეტარიატის კავშირისათვის შეურიგებელმა ბრძოლამ გააადვილა და დაჩქარა ცარიზმის დამხობა 1917 წლის თებერვალში და ექსპლოატატორული წყობილების ძლევამოსილი შტურმი დიდი ოქტომბრის დღეებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქა — სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა. სსრ კავშირში სოციალიზმის შენებლობა აღინიშნა თვალსაჩინო გამარჯვებებით, რომლებმაც გარდაქმნეს ჩვენი სამშობლოს სახე, განამტკიცეს მისი ძლიერება, აღამაღლეს იგი ეკონომიური და სოციალური პროგრესის მწვერვალებამდე.

პარტიის გარდამქმნელი საქმიანობის, საბჭოთა ხალხის გმირული შრომის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც ახლა პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. იზრდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურის დონე, მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საერთაშორისო მუშათა კლასის, მთელი რევოლუციური ძალების უდიდესი მონაპოვარი და მაღლწვეა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა და წარმატებით განვითარება. სულ უფრო ღრმავდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობა. ამრავლებს რა სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად დიდი წვლილი შეაქვს ხალხთა საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა რაზმის შეკავშირებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას 1905-1907 წლების რევოლუციის იუბილეს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის 70 წლისთავი აღინიშნოს როგორც ლენინური პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, ხაოლქო კომიტეტებს, საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, სახაზღვრო და შინაგანი ჯარების პოლიტსამმართველოებს დაევალათ იუბილეს მოსაწყობი მუშაობა დაუკავშირონ სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებას, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის — 1975 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროო აღნიშნავს, რომ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელსაც საქართველოს მშრომელები შეხვდნენ უდიდესი კმაყოფილებით და მათ უაღრესად დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა გამოიწვია, კვლავ მკაფიოდ ადასტურებს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, არის მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ძალებისა და საშუალებების მთელი ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკური შესაძლებლობების დასარაზმავად პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელის საბრძოლო პროგრამა.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში შეჯამებულია განვლილი ოთხწლეულის მთავარი პოლიტიკური შედეგი, რაც გამოიხატება იმით, რომ უზრუნველყოფილია მთლიანად ხახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარება, წინ ადადიგდა დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე; მიმართვაში მთელი პარტიის, ხახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის, მოსახლეობის ყველა ფენის, მთელი საბჭოთა ხალხის მთავარი ყურადღება ექცევა იმ ამოცანათა უთუოდ შესრულებას, რომლებიც დაგვისახის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმმა. პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის, სადაც სულ უფრო მკვიდრდება ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი აღმაღლობის. რესპუბლიკის ცხოვრებაში სათანადო მორალურ-პოლიტიკური კლიმატის საბოლოო დამკვიდრებისათვის ბრძოლის მტკიცე კურსი.

აღნიშნავს რა ამ მიმართულებით ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში მოპოვებულ ზოგიერთ წარმატებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროო განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ეს არის პარტიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების სრული აღდგენისათვის სულ უფრო მზარდი ბრძოლის მხოლოდ პირველი პოზიტიური შედეგები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ შრომითს კოლექტივებში ისეთ ვითარებას, რომ თვითეული შრომობდეს მონდომებით, შემოქმედებითად, იცავდეს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინას, იჩენდეს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და თავისი ამხანაგებისადმი. კომუნისტებს ჯერჯერობით უნერგავენ აქტიურ, შეტევითს პატიოსნებას, მებრძოლურ კეთილსინდისიერებას, რომელსაც შეუძლია გაიყოლიოს მშრომელთა ფართო მასები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიაჩნია, რომ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის მგზნებარე სიტყვები აღაფოთოვანებენ საბჭოთა საქართველოს თვითეულ კომუნისტს, თვითეულ მოქალაქეს იმ ამოცანების უთუოდ განხორციელებისათვის სბრძოლველად, რომლებიც რესპუბლიკას დაუსახეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულმა დადგენილებებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროო, რომელიც მთლიანად იწონებს და სავსებით უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეთაურობით მისი პოლიტბიუროს მრავალმხრივ და მიზანდასახულ საქმიანობას, აღნიშნავს დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი უწევს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებებს, განუხრელად იხელმძღვანელებს და უთუოდ შეასრულებს პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში დასახულ ამოცანებს,

ადგენს:

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის, ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კავშირების, ყველა იდეოლოგიური ინსტიტუტის, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების საბრძოლო ამოცანად ფართოდ გაშლილ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რათა მშრომელები დარაზმონ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების, დასკვნებისა და დებულებების უთუოდ განხორციელებისათვის. მიმართვის შესასრულებლად თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ, რომ — მნიშვნელოვნად გაძლიერდეს პროპაგანდისტული და საგბატაკიო-მასობრივი მუშაობა, რათა თვითეულ მშრომელს საფუძვლიანად განუმარტონ და გააცნონ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, მთელ დებულებისა და დასკვნების მნიშვნელობა;

— გაძლიერდეს მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა აქტიურობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რათა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, შემხვედრი გეგმების მიღებისა და შესრულებისათვის მოძრაობას, სოციალისტური შეჯიბრება წარმართოს მთავარი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამასთან ყოველთვის ახსოვდეთ, რომ შეჯიბრების დეეიზად ღიდსაც რჩება: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. თანამედროვე ეტაპზე ეკონომიური ზრდის როდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად პირველ პლანზე სულ უფრო იწევენ ხარისხობრივი მაჩვენებლები;

— კიდევ უფრო აამაღლონ თვითეული კომუნისტის, შრომითი კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობა თვითეული ბრიგადისა და საამქროს, საწარმოსა და მშენებლობის, თვითეული საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის წარმატებებისათვის, ხუთწლედში მთელი რესპუბლიკისა და ქვეყნის წარმატებებისათვის;

— კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე, გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, განმტკიცდეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის, სამეურნეო მართვის თვითეული რგოლის ბრძოლისუნარიანობა, ამაღლდეს კომუნისტთა ავანგარდული როლი იკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში;

— დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განმტკიცდეს მიცნიერების კავშირი წარმოებასთან, რაც შეიძლება მალე ინერგებოდეს პრაქტიკაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები, მოუნახავ გამოცდილება;

— კიდევ უფრო აყვავდეს საბჭოთა კულტურა, სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა, შეიქმნას ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი მაღალმხატვრული, მაღალიდეური ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა ადამიანს აღაფოთოვანებენ ახალი შრომითი გმირობისა და მიღწევებისათვის.

* * *

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფოთოვანებული, მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური მშვიდობისმოყვარული კურსის ერთგული საქართველოს მშრომელები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა მეთაურობით, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამეშვიდეს: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. თანამედროვე ეტაპზე ეკონომიური ზრდის როდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად პირველ პლანზე სულ უფრო იწევენ ხარისხობრივი მაჩვენებლები.

დამკვრელურად — პირველი დღეებიდანვე!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

— ასე უპასუხებენ პარტიის მოწოდებას საქართველოს მშრომელები

ვეტერანის თაოსნობა

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში დიდი შრომითი აღმავლობა სუფევს, რომელიც გამოწვეულია პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით. ძვირფასი ინიციატივით გამოვიდა მეთაური საწარმოს მღებავი ალექსანდრე მუჯირიშვილი. დიდი სამამულო ომის ვეტერანმა მოუწოდა საწარმოს მშრომელებს ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის დღესასწაულამდე დარჩენილი დღეები გამოაცხადონ დამკვრელურად. თვითონ ა. მუჯირიშვილმა ვალდებულება აიღო 1975 წლის 9 მაისამდე შეასრულოს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ექვსი თვის დავალებანი და გეგმის გადაჭარბებით შეიღებოს 40 ათასი მეტრი ქსოვილი.

სურათზე: ა. მუჯირიშვილი ესაუბრება საწარმოს მშრომელებს.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მუმჭირნედ. ეაირათიანად

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ახალ წელს გაზრდილი გეგმით შეუდგნენ შრომას თბილისელი ელმავალმშენებლები და წლის დასაწყისიდანვე მაღალი ტემპი იღლეს. ეს გასაგებიც არის, რადგან მათი ვალდებულებები, ისევე როგორც სახელმწიფო გეგმა და შემხვედრი გეგმა, დაძაბულია. მაგრამ ელმავალმშენებლებს მიიჩნიათ, რომ მათ შესწევთ უნარი გამოძებნონ ახალი რეზერვები და გაანალდონ შემდეგი ვალდებულებები:

პროდუქციის გამოშვების 1975 წლის დავალება შეასრულონ 29 დეკემბრისათვის, ხოლო მეცხრე ხუთწლედისა — 7 ნოემბრისათვის; გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 300 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინონ მისი რეალიზაცია; გამოუშვან 2 მოდერნიზებული ელმავალი „ვლ-22-ი"; წლის პირველ ნახევარში მიაღწიონ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდის დონეს, მიიღონ 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

დაიწყონ ელმავალ „ეკ-14"-ის სერიული გამოშვება და მიაღწიონ იმას, რომ მას მიანიჭონ ხარისხის უმაღლესი კატეგორია; 15 პროცენტით აამაღლონ ტატვირთვადამოტვირთვის, სატრანსპორტო და ასასწყობო სამუშაოთა მექანიზაციის დონე; რაციონალიზატორული წინადადებების და გამოგონებების დანერგვის მეცხრე ხუთწლედის გეგმის გადაჭარბონ 300 ათასი მანეთით, დაზოგონ 1 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 100 ტონა პირობითი საწვავი, 50 ტონა სხვადასხვა ლითონი, მოამზადონ 155 ახალი კადრის მუშა და 870 მუშას აუმაღლონ კვალიფიკაცია; საექსპლოატაციოდ გადასცენ 2.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ეს ვალდებულებები განხილულია და მიღებულია საწარმოს მშრომელთა საერთო კრებაზე.

ეს დღეები სოფლად

□ **უვარლის** რაიონის მეგვანახელებმა გასულ წელს ვალდებულება იკისრეს და რესპუბლიკის მეგვანახელებს მიმართეს მოწოდებით ვერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად დიდ ფართობებზე გააშენონ შინმოუსვლელთა ვენახები. ყვარელების სიტყვა და საქმე ერთია. ნაცვლად 1.111 ჰექტარისა ვენახები გააშენეს 1.258 ჰექტარზე. ახლა ვალდებულების ზვეთი აშენებენ ვენახს, ხეხილს.

□ **ზუგდიდის** საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის რაიონული სამრეწველო გაერთიანების მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.643 ცენტნერი ღორის ხორცი, ნაცვლად 2.550 ცენტნერისა. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ფრინველის ხორცის და კვერცხის მოყიდვის წლიური გეგმა-ვალდებულებაც. იანვრის პირველ დღეებში ვალდებულების ანგარიშში სახელმწიფოს რამდენიმე ტონა მეცხოველეობის პროდუქტები მიეყიდა.

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები

8 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, რომლებიც თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდნენ. დარბაზობას დასწრნენ გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და შტაბის უფროსი.

ნ. ვ. პოდგორნისა და თავდაცვის მინისტრებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომა

1975 წლის 7-8 იანვარს ქალაქ მოსკოვში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი.

თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომამ მეგობრულ ვითარებაში და ყველა მისი მონაწილის ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

განხილულ საკითხებზე მიიღეს შეთანხმებული გადაწყვეტილებანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ა. პ. კალანდაძის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მწერალი **ანა პავლეს ასული კალანდაძე** დაჯილდოვდეს „**საპატიო ნიშნის**" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. პიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წ. 8 იანვარი.

ადამიანთა შემოწმება და საქმის შაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი კულტიკის ლერძი.

ვ. ი. ლენინი.

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

საქართველოს კპ XIV და XV კლენუმების გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

ბევრი ღირსშესანიშნავი საქმის შესრულება ელით წელს საქართველოს მშრომელებს, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახორციელებს რესპუბლიკაში პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე ნეგატიური მოვლენებისა და წარსულის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

თვალს ვადევნებთ რა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რაიონის მშრომელთა მიერ გაწეულ მუშაობას, იმ დასკვნამდე მივდიოართ, რომ მათ თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრაში.

ვადამდე ვუპატაკით სამშობლოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებების შესრულება. შარშან სახელმწიფოს ჩაბარდა 6.585 ცენტნერი ხორცი (გეგმაზე 1.985 ცენტნერით მეტი), 12.690 ცენტნერი რძე (ნაცვლად 12.300-სა). მიფრინველეებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 316 ათასი ცალი კვერცხი და გეგმა 175,4 პროცენტით შეასრულეს. თავი ისახელეს მეხილეებმა და მეაბრეშუმეებმა. პირნათლად იქნა განაღდებული ყველა სახის მეორადი ნედლეულის დამზადების გეგმები.

სახელმწიფო მარნებს ჩაბარდა 2.501 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. მართალია, ყურძნის დამზადების გეგმა ვერ შეასრულეთ, მაგრამ ბოლოხდელი უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მეღვინეების მიერ გაწეული დიდ შრომას, მონდომებასა და შემართებას წინ აღუდგა ბუნების კაპრიზები, რაც გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი ფაქტორი გახდა.

სამრეწველო საწარმოებმა გადამდი ფიქრი ასეთი იყო: შობლიური საბჭოთა მთავრობის ეს უპირველესი ჯილდო — დიდი ლენინის ორდენი ცხოვრებისა და სამწერლო საქმიანობის გულგასახარ შეფასებად, არამედ უწინარეს ყოვლისა, უდიდეს შთაგონებად იმისათვის, რომ შეექმნა ახალი ნაწარმოებები, რომლებშიც შეეცდები მხატვრული სიმართლით გამოვსახო ჩვენი რესპუბლიკის ხალხის ცხოვრების ახალი ვითარება, ის დიდი გარდამქნელი, გამაჯანსაღებელი და განმადიდებელი შრომითი გმირობა და შემართება, რომლითაც აღსავსეა ახლა პატიოსანი მშრომელი ადამიანის გული და გონება.

ამჟამად ვმუშაობ ჩემი რომანის „ნატვრისთვალის“ მესამე, დამამთავრებელ წიგნზე. ახლახან დავწერე და საბოლოოდ ვამუშავებ ახალ მოთხრობას „რაინდულ ბალადას“. „ნატვრისთვალის“ მესამე წიგნის რამდენიმე თავი იბეჭდება ახალი ალმანახის „განთიადის“ პირველ ნომერში.

ამბობენ, რომ დიდ სიხარულს ადამიანის ცხოვრების წლების განახვრება შეუძლიაო. დღეს მე დიდი სიხარული მაქვს! არ ვიცი, წლები გამინახევრდება თუ არა, მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთქვა: მშობლიური კომუნისტური პარტიის და მთავრობის მიერ ჩემი შრომის ამ დიდ დაფასებას, ამ დიდ ნდობას შევეცდები ჯეროვანი სიყვარულითა და ჩემი მწერლური, კეთილსინდისიერი შრომით ეუპასუხო, შევეცდები ჭართველი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას ახალი, მისი ღირსი და შესაფერი სიმღერა ვუთხრა.

ბევრი ქიება

პარტიის რაიკომი და ეკონომიკის საკითხები

ხარისხოვანი ნერგით. მეევნახეობისა და სამრეწველო მეხილეობის განვითარების მიზნით დასახულია ღონისძიებანი ეგრეთ წოდებული შიდა ყამირის ასათვისებლად. რაიონის კოლმეურნეობებში ამჟამად არსებული 520 ჰექტარი ვენახის თარობის მომავლისათვის 620 ჰექტარამდე გაიზრდება, ხეხილის ბაღის არსებული ფართობი კი 666 ჰექტარს მიაღწევს. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვასა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განხორციელებით ვითვალისწინებთ ყოველწლიურად თვითეულ ჰექტარ მსხმოიარე ვენახზე მიღებული იქნას 35-40 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ჰექტარ ბაღზე 50-60 ცენტნერი ხილი.

მიღებულია ზომები მეცხოველეობის ეფექტიანი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ გადადგმულია პირველი სერიოზული ნაბიჯებიც. ჩვენი რაიონის მეცხოველეობის, მთელი აქტივის სამაგიერო უნდა ითქვას, რომ შესრულებულია პირუტყვის სულადრბის გეგმები და წელს, ეიდრე არასდროს, მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმები. დამზადებულია 12.145 ტონა უხეში საკვები, 2.106 ტონა სილოსი. რაიონში პირველად ჩაიღო 525 ტონა სენაჟი. საკვების ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების კოლმეურნეობებიდან განრიგის მიხედვით გადაეცემა ის ტექნიკა, რაც მძიმე ტვირთად აწევს მათ და უქმნით ფინანსურ სიძნელეებს. მეტი ყურადღება მიექცევა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო დარგების სპეციალიზაციას, იმ დარგების უპირატეს განვითარებას, რომელთა კულტივირებისათვის ადგილებზე ნამდვილად ყველა პირობა არსებობს. მკვეთრად გაუმჯობესდება კოლმეურნეობათა მართვის მეცნიერული საფუძვლები, ხელმძღვანელობისა და კონტროლის სისტემა.

სეზონიზული მუშაობა წარმოებს იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც დღესდღეობით მაინც არსებობს სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სავაჭრო ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში, პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში.

რა თქმა უნდა, მუშაობაში წლების მანძილზე არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება ერთი ხელის დაკრთით არ მოხერხდება, მაგრამ ეიდიოლობთ მოვიქრებულ. გეგმაზომიერ ღონისძიებათა განხორციელებით უმოკლეს დროში აღმოვფხვრათ ისინი. ამორომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, რაკ პარტიამ თავისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია.

პარტიის რაიონული კომიტეტი ყოველთვის ცდილობს დაშვებული შეცდომები დაუსწორეროს ხელმძღვანელ მუშაკებს. მაგრამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ზოგ შემთხვევაში საჭიროა კადრების გადახალისება, რაც სასურველ შედეგს იძლევა.

ამიტომ იყო, რომ რაიონის პიროლმ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე თანმიმდევრულად შეიცვალა ვალეევის, ჭელიაღელის, პატარა ონის, თლუღის, წესლის, ლიხეთის, ჭრებალოს, აბანოეთის კოლმეურნეობების, ჭელიაღელის, ვალეევის, ბოკაულის სასოფლო და ამბროლაურის ქალაქის საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიკოოპერატივის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, გაზის საერაონთაშორისო კანტორის, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, სარემონტო-სამშენებლო უბნის, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელები.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც წლობით მუშაობენ ერთსა და იმავე თანამდებობებზე, ფიქრს ვერ უწყობენ ცხოვრებას, დაკარგეს ახლის გრძნობა და როგორც იტყვიან, ფეადმყოფურად ეჭიდებიან საკადრეს. ასეთი კადრების მიმართ რადიკალური ზომების მიღება დაგვჭირდება.

კარგად გვესმის, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მოღვაწეობის, მოსახლეობის გარჯის შეფასების კრიტერიუმი კელავაც იქნება მათი შრომის შედეგები. ამიტომ ჩვენი მოღვაწეობის ყურადღების ცენტრშია შესრულების შემოწმებისა და კონტროლის გაძლერება, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლება, პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, პრაქტიკაში მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა. გადაწყვეტილი გვაქვს სკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხო შემხვედრი და პერსპექტიული გეგმების დაზუსტებით ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფოს მიეყიდოთ 3.000 ტონაზე მეტი ყურძენი, 3.620 ტონა ხილი, 660 ტონა ხორცი, 1250 ტონა რძე, 150 ათასი ცალი კვერცხი, 13 ტონა აბრეშუმის პარკი. ამასთან ვადამდე გადაჭარბებით შეესრულოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმები, მკვიდრი სოფლელი ჩაეუყაროთ ახალ ხუთწლედს.

მიმდინარე წელი აგვირკვენებს მეცხრე ხუთწლედს. თვითეული შრომითი კოლექტივის სახელისა და ღირსების საქმეა მიაღწიონ ხუთწლედით დასახულ ამოცანათა ოთოო შესრულებას. ამისათვის საჭიროა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ოთხო ენერგიულად და ეფექტიანად ვიმუშაოთ.

ა. შარაბიძე.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

მწერლის მადლობა



გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, შოთა რუსთაველის სახელმბის პრემიის ლაურეატის კონსტანტინე ლორთქიფანიძის მრავალრიცხოვან მთავრობის ჯილდოებს (სამი შრომის წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკვლავის, სპპატიო ნიშნის ორდენები, ბევრი საბრძოლო მედალი, საპატიო სიგელები), რომლებიც ხალხის საყვარელ მწერალს მიღებული აქვს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, მისი დაბადების 70-ე წლისთავის დღეს მიეშატა ახალი, დიდი ჯილდო — ლენინის ორდენი. გუშინვე, როგორც კი პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამის შესახებ, „კომუნისტის“ კორესპონდენტი შინ ეწვია მწერალს, გაზეთის კოლექტივისა და მისი მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით გულითადად მოულოცა და ინტერვიუ სთხოვა. ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ კი ფირზე აღბეჭდა მწერალი.

— როგორც კი გაზეთმა ეს საამისახარულო და კანონიერი სიამაყის გრძნობის აღმძვრელი ცნობა მომიტანა, — თქვა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, — ჩემი პირველი ფიქრი ასეთი იყო: შობლიური საბჭოთა მთავრობის ეს უპირველესი ჯილდო — დიდი ლენინის ორდენი ცხოვრებისა და სამწერლო საქმიანობის გულგასახარ შეფასებად, არამედ უწინარეს ყოვლისა, უდიდეს შთაგონებად იმისათვის, რომ შეექმნა ახალი ნაწარმოებები, რომლებშიც შეეცდები მხატვრული სიმართლით გამოვსახო ჩვენი რესპუბლიკის ხალხის ცხოვრების ახალი ვითარება, ის დიდი გარდამქნელი, გამაჯანსაღებელი და განმადიდებელი შრომითი გმირობა და შემართება, რომლითაც აღსავსეა ახლა პატიოსანი მშრომელი ადამიანის გული და გონება.

ამჟამად ვმუშაობ ჩემი რომანის „ნატვრისთვალის“ მესამე, დამამთავრებელ წიგნზე. ახლახან დავწერე და საბოლოოდ ვამუშავებ ახალ მოთხრობას „რაინდული ბალადას“. „ნატვრისთვალის“ მესამე წიგნის რამდენიმე თავი იბეჭდება ახალი ალმანახის „განთიადის“ პირველ ნომერში.

ამბობენ, რომ დიდ სიხარულს ადამიანის ცხოვრების წლების განახევრება შეუძლიაო. დღეს მე დიდი სიხარული მაქვს! არ ვიცი, წლები გამინახევრდება თუ არა, მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთქვა: მშობლიური კომუნისტური პარტიის და მთავრობის მიერ ჩემი შრომის ამ დიდ დაფასებას, ამ დიდ ნდობას შევეცდები ჯეროვანი სიყვარულითა და ჩემი მწერლური, კეთილსინდისიერი შრომით ეუპასუხო, შევეცდები ჭართველი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას ახალი, მისი ღირსი და შესაფერი სიმღერა ვუთხრა.

სკოლა და ცხოვრება

მამების კრება

ონი. (საკ. კორ.). ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ სკოლაში გამართულ მშობელთა კრებაზე უფრო ხშირად მოსწავლეთა დედები ცხადდებიან, მამებს კი აქ იშვიათად შეხვდებთ. ეს ტრადიცია დაირღვა სორის საშუალო სკოლაში. ამ დღეებში აქ პირველად გაიმართა მამების საერთო კრება.

კრების მონაწილეებმა სამეანად იმსჯელეს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების, სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

კრებაზე გადაწყდა, რომ ამიერიდან მჭიდრო კავშირს დაამყარებენ სკოლასთან და ამით ხელს შეუწყობენ თავიანთი შვილების უკეთ აღზრდის საქმეს.

სამახსოვრო შეხვედრა

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ ხიდიკრის ახალგაზრდობამ საინტერესო შეხვედრა მოუწყეს საავადებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულ თანასოფლელებს, იმათ, ვინც პირნათლად მოიხადა მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე.

დემობილიზებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვეს იური და თენგიზ კერკალაშვილებმა, მათ მადლობა გადაუხადეს თანასოფლელებს გულთბილი შეხვედრისათვის.

ბიკომშენილობის ხარჯზე

როდის დამთავრდება?

ამ რამდენიმე წლის წინათ მახარაძის კომუნალური 50-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საჯარო წესით გადაეცა ქუთაისის სახლსამშენებლო კომბინატს. შეირჩა ტერიტორია მდინარე ბეჭეის მარჯვენა სანაპიროზე, მშენებლობისათვის გამოიყო 388 ათასი მანეთი.

გეგმის მიხედვით ჯერ კიდევ 1971 წელს უნდა დაწყებულიყო ბინის აგების სამუშაოები და მარტო იმ წელს უნდა შესრულებულიყო 39 ათასი მანეთის სამუშაობი. მაგრამ 1971 წელს ხელიც არ მოუკიდიათ ქუთაისელ მშენებლებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მშენებლებს არც 1972 წელს შეუწუხებიათ თავი და არაფერი გაუკეთებიათ. აბა როგორ უნდა აგვსწავლა ის ფაქტი, რომ მთელი წლის მანძილზე შესრულებულს მხოლოდ 4 ათასი მანეთის სამუშაო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 240 ათასი მანეთისა.

მოსალოდნელი იყო, რომ მშენებლები ამ სამარცხვინო ჩამორჩენას თავს დააღწევდნენ და 1973 წელს ჩქარი ტემპით განავითარებდნენ სახლის აგებას. მაგრამ ასე არ მოხდა, შარშანდელი წელიწადი ისე დამთავრდა, რომ მშენებლებმა 20 ათასი მანეთი ძლივს აითვისეს, ნაცვლად გათვალისწინებული 255 ათასი მანეთისა. წლიურს ბინა საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ, ახალი წელი ახალ ბინაში უნდა ეზეიმათ მობინადრეებს, მაგრამ მათი მრავალი წლის მოლოდინი არ გამართლდა. შენობა ჯერ კიდევ ხეირიანად დახურულიც კი არ არის, აქ თითო-ოროლა კაცი მუშაობს და იმათაც ხელი ეშლებათ, გამართულად ვერ მუშაობენ.

ჩვენ ადგილზე გავეცანით მშენებლობას მახარაძის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილესთან ინჟინერ მ. შარაშიძესთან ერთად. ნათქვამია, თვალი ჭამს და თვალი სვამსო! არ მოგვწონება კაცს მშენებლების ნასუფავი. შიგა სამუშაოები დაუწყიათ, მაგრამ უბრალო თვალითაც დასაწუნია, სართულებს შორის ასასვლელი კიბის სახელურები ისე სუსტია, ხელის მსუბუქი შეხებითაც ქანაობს! წინასწარ მოზიდული კარფეხრები უხარისხოა.

ვისაუბრეთ მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელს დ. ბოჭორიშვილს, რომელმაც გულახდილად გვითხრა:

— მშენებლობის გამართულად წარმოებისათვის საჭიროა ყოველდღიურად სულ ცოტა 20-35 კაცი, ჩვენ კი 8 კაცი გვყავს. სპეციალისტების ნაკლებობას განვიცდით. რაც კომბინატს რეზერვები გააჩნდა, ყველა ფოთში გადაიყვანეს მშენებლობის დასაჩქარებოდ. აქ კი საკმაო რაოდენობით არც სამშენებლო მასალები გვაქვს და არც მუშახელი გვყავს. თუ კარგი ამინდი იქნა, 15 დღეში მოვრჩებით სახურავის სამუშაოებს, თორემ წვიმა ხელს გვიშლის შრომის შიგა სამუშაოების ჩატარებაში“.

ეს განაცხადი კომენტარს არ საჭიროებს.

ახალმოსახლენი, ბინის მომავალი მფლობელები თითებზე ითვლიან დღეებს, ელოდებიან როდის შევლენ ახალ ბინაში. მშენებლობა კი კვლავ კუს ნაბიჯით მიდის. მშენებლებს გულთან არ მიაქვთ საქმე, თორემ ასე სამარცხვინოდ არ ჩამორჩებოდნენ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ ეს ფაქტი ცნობილი არ არის ქუთაისის სახლსამშენებლო კომბინატის ხელმძღვანელობისათვის?

ბინა დეკემბერში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, მაგრამ თუ ასეთი ტემპით იმუშავეს ქუთაისელმა მშენებლებმა, ვინ იცის როდის დადგება საშველი ამ გაჭიანურებული მშენებლობის დამთავრებას.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ სკკ. კორ.

გამოთხოვება

8 იანვარს მოსკოვში გაიმართა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დედის — ნატალია დენისის ასულის დაკრძალვა.

მეცნიერთა სახლის დარბაზში, სადაც ნატალია დენისის ასულის ცხედარია დასვენებული, არიან ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მეუღლეთერთ, მისი ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები.

კუბოსთან აწყვია მრავალი გვირგვინი: ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისაგან, მისი ოჯახის წევრებისაგან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ოჯახებისაგან, სკკ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან, სხვა რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისაგან, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოებისაგან, სრულიადრუსეთის [illegible] ცენტრალური კომიტეტისაგან, სკკ მოსკოვის [illegible] ქალაქო კომიტეტისა და [illegible] ცენტრალური კომიტეტისაგან, სხვა ორგანიზაციებისაგან, მეგობრებისა და თანამემამულეებისაგან.

განსვენებულთან გამოსათხოვნელად, ლეონიდ ილიას-ძისათვის ღრმა მწუხარების გამო სამძიმრის სათქმელად მოვიდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ჰ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი.

სამძიმარი გამოთქვეს ავრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ [illegible] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ [illegible] ცენტრალური [illegible] ალმა-ათის [illegible] ოლქის [illegible] ოლქის [illegible] ოლქ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

კრიზისი ღრმავდება

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 8 იანვარი. (საკ-დესი კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა მორიგი თათბირი გართა თავის ეკონომიურ მრჩევლებთან. როგორც თეთრი სახლის ოფიციალურმა მოხელემ განაცხადა, თათბირზე განხილულ მთავრობის ეკონომიური პროგრამა, რომელსაც, როგორც მოელინ, ინვრის ეტორე ნახევარში წარუდგენენ კონგრესს პრეზიდენტის ყოველწლიურ წერილში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“.

ექსპერტები, რომლებიც თვალს ადევნებენ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მდგომარეობას, აღნიშნავენ, რომ სულ ერთი აშკარად ვითარდება მისი ნები — წარმოების დაქვეითებასთან შეხამებული ინფლაცია.

ინფლაციის ზრდის ტემპი წელიწადში 12 პროცენტს აღწევს.

პრეზიდენტ ჯ. ფორდის თათბირი მრჩევლებთან

ღრმავდება მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების, და უწინარეს ყოვლისა საავტომობილო და სამშენებლო მრეწველობის დაქვეითება.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდება უმუშევრობა, რომელიც გასული წლის დეკემბერში მთელი მუშახელის 7,1 პროცენტამდე გადიდდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევრობის ესოდენ მაღალი დონე არ ყოფილა 1961 წლის მაისიდან. ავტომობილმშენებლობაში უმუშევრად დარჩა დასაქმებულ მუშათა 20 პროცენტი, საფეიქრო მრეწველობაში — 11, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 9 პროცენტი.

ჟურნალ „ნიუსუიკის“ აზრით, ქვეყანა ახლა აწყდება ყველაზე დახლართულ ეკონომიურ პრობლემებს ამ 40 წლის მანძილზე. უმაგალითო ინფლაციისა და უმუშევრობას, რომელიც საოცარი სისწრაფით იზრდება“.

ვერც მთავრობამ, ვერც კონგრესმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს ეკონომიურ სიძნელეთა გადაწყვეტის რამდენადმე ეფექტიანი პროგრამა. თუმცა ეს უკვე დიდი ხანია გამოაცხადეს თავიანთ „პირველი რიგის ამოცანად“.

მომავალშიც არ უნდა მოველოდეთ მდგომარეობის რაიმე გუმჯობესებას. როგორც კონგრესში პრეზიდენტის ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარემ ა. გრინსპენმა გამოაცხადა, 1975 წლის ეკონომიური პერსპექტივები დამაიმედებელი ვერ არის.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 იანვარი. (საკ-დესი). ახალი წლის დაწყება აღინიშნა ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის შეიარაღებული პროვოკაციების გაძლიერებით. ამას ადასტურებენ ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ცნობები. აგრესორი განსაკუთრებით გააქტიურდა 31 დეკემბრიდან 3 იანვრამდე. კერძოდ, მან რამდენიმე რეიდი მოაწყო ლიბანის ტერიტორიაზე. სოფლებში აიტარუნში, იარინსა და ატ-ტაიბეში ისრაელის ჯარისკაცებმა აფეთქეს ათზე მეტი სახლი და 3 ავტომანქანა. მათი ტყვეებით 4 კაცი დაიღუპა. 5 ლიბანელი მოქალაქე ისრაელმა აგრესორებმა ძალით წაიყვანეს თავიანთ ტერიტორიაზე.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲔᲫᲔᲑᲔᲜ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲡᲢᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ: ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲠᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ კრიზისი, ეკონომიური სიძნელეები, უყიდურესად მემარჯვენე ექსტრემისტულ და მოფაშისტო ორგანიზაციათა პროვოკაციული გამოხდომები... ასეთი სერიოზული პრობლემებით შეხვდა თურქეთი ახალ, 1975 წელს

გასული წლის სექტემბრიდან ქვეყანაში პრაქტიკულად არ არის მთავრობა. განვლილ 4 თვის მანძილზე ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ შეძლო მთავრობის შექმნა.

შრომისუნარიანი მთავრობის შექმნა, განაცხადა პრეზიდენტმა ფ. კორუთურქმა, ზოგადეროვნულ საქმედ იქცევა იმ პირობებში, როცა ქვეყნის წინაშე დასახულია სერიოზული პრობლემები.

თურქეთის მემარჯვენე პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ცდილობენ გაინაღდონ უფრო მეტი ხმა-ფიცები, გამოაცხადეს ეგრეთწოდებული „ნაციონალისტური ფრონტის“ შექმნა. სამართლიანობის პარტიის ლიდერმა ს. დემირელმა, რომელსაც ხელმძღვანელი პოზიციები უკავია მემარჯვენეთა ამ თავისებურ კოალიციაში, კარგად დაამახსოვრდა 1971 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილება, როცა სამხედროებმა გადაყენეს იმ საბჭოთა თითქოს მემარცხენეობა ითარებდა ხელს.

სამართლიანობის პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დეპუტატთა წინაშე რომ გამოვიდა, დემირელმა „ნაციონალისტური ფრონტი“ დაახასიათა როგორც „კომუნიზმის, სოციალიზმისა და სოციალ-ეროვნული ფაშიზმის ერთ-ერთ-ერთ ... ეროვნული ... ...

ახალ ბინებში

დამთავრდა მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რვა-რვაბინიანი საცხოვრებელი სახლები ყვარლის „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის.

თითო ასეთი სახლი აშენდა აგრეთვე გრემის, საბუისა და ენისლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში.

გაიყვანეს წყალსადენი

სოფელ გავაზში დამთავრდა ახალი წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა, რომლის სიგრძე რვა კილომეტრს აღწევს, ახალი წყალსადენი უხვად ამარაგებს სოფელს სუფთა სასმელი წყლით.

საქართველოს რაიონებში

ყვარელი

გვატყობინებს „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვაზის ნამყენის სათბურები

შარშან გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში მწყობრში ჩადგა 500 ათასი ვაზის ნამყენის გამოსაყვანი ახალი ტიპური სათბური.

ახალი სათბურები შენდება და სეზონისათვის დამთავრდება საბუის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში და ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში, რომელთა მოცულობა თითო მილიონი ცალი ვაზის ნამყენის გამოსაყვანად არის გათვალისწინებული.

სამედიცინო ტექნიკის მაღაზია

სამედიცინო ტექნიკის მაღაზია აქამდე მეტად პატარა და შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული. ერთადერთი — ოპტიკური განყოფილება ოდნავ იც კი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამ დღეებში მაღაზიას გადაეცა ი. ჭაჟავაძის ქუჩაზე ახალი 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველი სართული.

თანთო ნათელ ბინაში განლაგებულია მაღაზიის ოპტიკური და ქირურგიული განყოფილებები. მაღაზია ამარაგებს კახეთის ზონის რაიონებს ქირურგიული, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური მოწყობილობა-აპარატურით, რენტგენის დანადგარებით და ოპტიკური ხელსაწყოებით.

ყვარლური ტრიკოტაჟი

ქალაქის ცენტრში სამსართულიან ახალ ნათელ შენობაში გაიხსნა თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის სამკერვალო წარმოება. ახალ საწარმოში დასაქმებულია 300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე.

წარმოება უშვებს მამაკაცისა და ბავშვის ზედა ჯემპრ-პერანგებს.

ა. თვალიაშვილი.

• • •

ყვარელი ვ. მარჯანიშვილის ქუჩა.

ვ. ნერსეზაშვილის ფოტო.

● ქალალდებში დაკარგული ტრაქტორი ● დამნაშავეს დასჯის მაგივრად აწინაურებენ ● შეცდომები რომ აღარ განმეორდეს

ბოროტების წყარო

ვინ ამღვრევდა წყალს და ვინ იჭერდა თევზს...

ჟურნალ „ცისფერ ყანაში“ ერთ-ერთ ნომერში ასეთი ამბავი ამოვიკითხეთ: ერთ-ერთ ბრიგადირ-ოსტატს ბ. ... ...